თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №48

23 აპრილი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის თანდართული დებულება.
მუხლი 2.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 აგვისტოს №17 დადგენილება ,,ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge, 26/08/2014, 010250050.35.176.016017).
მუხლი 3.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის №19 დადგენილება ,,თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge, 09/09/2014, 010250050.35.163.016200).

მუხლი 4
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი*

# თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის
# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. დებულება თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის შესახებ განსაზღვრავს თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის შევსების, ორგანიზებისა და გამოყენების საფუძვლებს;

2. მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დანიშნულებაა:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიური, კულტურული, საზოგადოებრივ - პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის.

ბ) უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მუდმივი კავშირი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, საშუალება მისცეს მოსახლეობას და იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს მუნიციპალიტეტში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

3. თელავის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ოფიციალური მისამართია (www.telavi.mun.gov.ge).

**მუხლი 2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება**

1. ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს თელავის მუციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური და საკრებულოს აპარატი.

2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება მოიცავს:

ა) ვებ-გვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ბ) ვებ-გვერდის ფუნქციონირების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას;

გ) ინფორმაციის განთავსებას;

დ) ვებ-გვერდზე შემოსული წინადადებისა და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას თელავის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის და საკრებულოს აპარატის უფროსისათვის;

ე) ვებ-გვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას,მათ შორის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის და საკრებულოს აპარატის მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდების შესახებ ვებ-გვერდზე განსათავსებლად სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირებისათვის.

**მუხლი 3. ინფორმაციის წყაროები, კატეგორიები და სტატუსი.**

1. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. იგი საჯარო და უსასყიდლოა.

2. ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას აქვს ოფიციალური (შესაბამისი მითითებით) ან არაოფიციალური სტატუსი.

3. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. საინფორმაციო საშუალებებს უფლება აქვთ გამოიყენონ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებგვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

4. ვებგვერდის შევსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

ბ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები;

დ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ინტერნეტ რესურსები;

ე) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები;

5. ვებგვერდის ინფორმაცია განახლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) მუდმივი (ყოველდღიური);

ბ) პერიოდული (ყოველკვირეული,ყოველთვიური);

გ) ერთჯერადი.

**მუხლი 4. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება.**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირები, თვითმმართველი ერთეულის საჯარო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები ადმინისტრაციულ სამსახურს და საკრებულოს აპარატს აწვდიან ვებ-გვერდზე განსათავსებელ ინფორმაციას ელექტრონული ფორმით ამ დებულებით დადგენილი გადაცემისა და განახლების პერიოდულობის ვადების დაცვით.

2. ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ვებ-გვერდზე დროულ, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე ადმინისტრაციული სამსახური და საკრებულოს აპარატი.

3. ინფორმაციის მიწოდება (განახლება) სავალდებულოა ყოველთვიურად - ყოველი თვის 15 რიცხვის 13.00 სთ.

3.1 მუდმივ განახლებას ექვემდებარება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის სამართლებრივი აქტების, ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია და სხვა სიახლეების - განთავსება ხორციელდება ყოველი დღის 13.00 სთ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წყაროების გარდა სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე ხორციელდება ,, თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულების'' მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, თელავის მუნიციპალიტეტის მერთან კონსულტაციის და საკრებულოს აპარატის უფროსის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან კონსულტაციის შესაბამისად.

**მუხლი 5. ვებგვერდის ძირითადი სტრუქტურა**

1. ვებგვერდის ძირითადი სტრუქტურა მოიცავს ინფორმაციას თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, სამართლებრივი აქტების, ჩატარებული ტენდერების, მომხდარი სიახლეებისა და სხვა ინფორმაციის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე